

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №

2023 წლის

ქ. თბილისი

**„ტექნიკური რეგლამენტი - შეზღუდული ენერგეტიკული ღირებულების დიეტებში წონის კლებისათვის განკუთვნილი სურსათის შესახებ“ დამტკიცების თაობაზე**

**მუხლი 1.** სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული - „ტექნიკური რეგლამენტი - შეზღუდული ენერგეტიკული ღირებულების დიეტებში წონის კლებისათვის განკუთვნილი სურსათის შესახებ“.

**მუხლი 2.** შეზღუდული ენერგეტიკული ღირებულების დიეტებში წონის კლებისათვის განკუთვნილი სურსათი, რომელიც ბაზარზე განთავსებულია ამ დადგენილების ამოქმედებამდე და არ შეესაბამება ამავე დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, დასაშვებია ბაზარზე განთავსებული იქნეს „ვარგისიანობის მინიმალური ვადის“ ან „გამოყენებამდე ვადის“ ან „შენახვის ვადის“ გასვლამდე.

**მუხლი 3.** დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის პირველი ივნისიდან.

პრემიერ - მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

## ტექნიკური რეგლამენტი - შეზღუდული ენერგეტიკული ღირებულების დიეტებში წონის კლებისათვის განკუთვნილი სურსათის შესახებ

### მუხლი 1.

1. „ტექნიკური რეგლამენტი - შეზღუდული ენერგეტიკული ღირებულების დიეტებში წონის კლებისათვის განკუთვნილი სურსათის შესახებ“ (შემდეგომ - ტექნიკური რეგლამენტი) ადგენს შეზღუდული ენერგეტიკული ღირებულების დიეტებში წონის კლებისათვის განკუთვნილი სურსათის შემადგენლობასა და ეტიკეტირებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

2. შეზღუდული ენერგეტიკული ღირებულების დიეტებში წონის კლებისათვის განკუთვნილი სურსათი წარმოადგენს სპეციალური შემადგენლობის მქონე სურსათს, რომელიც, მწარმოებელი ბიზნესოპერატორის ინსტრუქციის შესაბამისად გამოყენებისას/მოხმარებისას, სრულად ან ნაწილობრივ ჩაანაცვლებს კვების ყოველდღიურ რაციონს. ასეთი სურსათი იყოფა ორ კატეგორიად:

ა) სურსათი, რომელიც წარმოდგენილია როგორც კვების სრული დღიური რაციონის შემცვლელი;

ბ) სურსათი, რომელიც წარმოდგენილია როგორც კვების დღიური რაციონის ერთი ან მეტი კვების შემცვლელი.

3. მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო, სახელმწიფო კონტროლის დროს, ადგენს ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ სურსათთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და ბიზნესოპერატორის მიერ დეკლარირებული ინფორმაციის შესაბამისობას.

### მუხლი 2.

ამ ტექნიკური რეგლამენტის პირველი მუხლით განსაზღვრული სურსათი ბაზარზე განთავსებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს.

### მუხლი 3.

ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული სურსათი უნდა აკმაყოფილებდეს „შეზღუდული ენერგეტიკული ღირებულების დიეტებში წონის კლებისათვის განკუთვნილი სურსათის ძირითადი შემადგენლობა“ დანართი N1-ით - დადგენილ მოთხოვნებს.

#### მუხლი 4.

ბაზარზე განთავსებული, ამ ტექნიკური რეგლამენტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სურსათის ყველა ინდივიდუალური კომპონენტი მოთავსებული უნდა იქნეს ერთ შეფუთვაში.

#### მუხლი 5.

1. შეზღუდული ენერგეტიკული ღირებულების დიეტებში წონის კლებისათვის განკუთვნილი სურსათი:

ა) რომელიც განსაზღვრულია ამ ტექნიკური რეგლამენტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, ბაზარზე განთავსებული უნდა იქნეს დასახელებით - „წონის კონტროლისათვის კვების სრული დღიური რაციონის ჩანაცვლებისთვის“;

ბ) რომელიც განსაზღვრულია ამ ტექნიკური რეგლამენტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, ბაზარზე განთავსებული უნდა იქნეს დასახელებით - „წონის კონტროლისათვის კვების ჩანაცვლებისთვის“.

2. ბაზარზე განთავსებული, ამ ტექნიკური რეგლამენტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სურსათი ეტიკეტირებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული „ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად.

3. გარდა ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნებისა, შეზღუდული ენერგეტიკული ღირებულების დიეტებში წონის კლებისათვის განკუთვნილი სურსათის ეტიკეტი უნდა შეიცავდეს სავალდებულო განაცხადს:

ა) საჭიროების შემთხვევაში, სურსათის მომზადების სათანადო ინსტრუქციის დაცვის მნიშვნელობის შესახებ;

ბ) რომ სურსათს შესაძლებელია ჰქონდეს დიარეული ეფექტი, იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორის ინსტრუქციის მიხედვით სურსათის მოხმარებისას ხდება დღე-ღამეში 20 გ-ზე მეტი რაოდენობის პოლიოლების მიღება;

გ) სითხის ადეკვატური რაოდენობის დღიური მიღების შესახებ.

4. ამ ტექნიკური რეგლამენტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სურსათის ეტიკეტი უნდა შეიცავდეს განაცხადს, რომ:

ა) სურსათის მოხმარება უზრუნველყოფს ყველა აუცილებელი საკვები ნივთიერებების დღიური მოთხოვნის დაკმაყოფილებას;

ბ) სურსათის მოხმარება, ექიმთან კონსულტაციის გარეშე, არ უნდა აღემატებოდეს სამ კვირას.

5. ამ ტექნიკური რეგლამენტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სურსათის ეტიკეტი უნდა შეიცავდეს განაცხადს, რომ სურსათი

სასარგებლოა დანიშნულებისამებრ, მხოლოდ როგორც შეზღუდული ენერგეტიკული ღირებულების დიეტის ნაწილი, და სხვა სასურსათო პროდუქტების მიღება უნდა იყოს ასეთი დიეტის აუცილებელი ნაწილი.

6. შეზღუდული ენერგეტიკული ღირებულების დიეტებში წონის კლებისათვის განკუთვნილი სურსათის ეტიკეტი, რეკლამა და წარდგენა არ უნდა შეიცავდეს მინიშნებას, მათი მიღების შედეგად წონის დაკლების შესახებ.

## დანართი N1

### შეზღუდული ენერგეტიკული ღირებულების დიეტებში წონის კლებისათვის განკუთვნილი სურსათის ძირითადი შემადგენლობა

1. ამ დანართით განსაზღვრული სპეციფიკაციები ვრცელდება ბიზნესოპერატორის ინსტრუქციის მიხედვით გამოყენებისათვის/მოხმარებისთვის მზა სურსათზე, რომელიც განთავსებულია ბაზარზე.

2. ენერგეტიკულ ღირებულებით უზრუნველყოფა:

ა) ამ ტექნიკური რეგლამენტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სურსათის კვების სრული დღიური რაციონისთვის, უნდა შეადგენდეს არანაკლებ 800 კკალ (3360 კჯ) და არაუმეტეს 1200 კკალ (5 040 კჯ)-ს;

ბ) ამ ტექნიკური რეგლამენტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სურსათის კვების დღიური რაციონის ყოველი კვებისათვის, უნდა შეადგენდეს არანაკლებ 200 კკალ (840 კჯ) და არაუმეტეს 400 კკალ (1680 კჯ)-ს.

3. ცილასთან დაკავშირებით დაკმაყოფილებული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

ა) ამ ტექნიკური რეგლამენტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სურსათის შემადგენლობაში არსებული ცილა უნდა უზრუნველყოფდეს საერთო ენერგეტიკული ღირებულების არანაკლებ 25% და არაუმეტეს 50 %-ს. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ტექნიკური რეგლამენტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სურსათში, ცილის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 125 გ-ს;

ბ) ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები ცილასთან დაკავშირებით, ეხება ეტალონურ ცილას, რომლის ქიმიური ინდექსი სსმო/ჯმს-ის თანახმად (სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია/

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია - FAO/WHO), მოცემულია - „მოთხოვნები ამინომჟავების მიმართ“ - დანართი N2-ში. იმ შემთხვევაში, თუ ცილის ქიმიური ინდექსი 100 %-ზე ნაკლებია, ცილის მინიმალური დონე შესაბამისად უნდა გაიზარდოს. ნებისმიერ შემთხვევაში, ცილის ქიმიური ინდექსი უნდა შეადგენდეს ეტალონური ცილის არანაკლებ 80%-ს;

გ) „ქიმიური ინდექსი“ ნიშნავს უმცირეს თანაფარდობას საკვლევ ცილაში თითოეული შეუცვლელი (ესენციური) ამინომჟავების რაოდენობასა და ეტალონური ცილის შესაბამის ამინომჟავების რაოდენობას შორის;

დ) ყველა შემთხვევაში დასაშვებია ამინომჟავების დამატება ცილის კვებითი ღირებულების გაზრდის მიზნით და მხოლოდ ამ მიზნის მისაღწევად საჭირო თანაფარდობით.

3. ცხიმთან დაკავშირებით:

ა) ცხიმის ენერგეტიკული ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს სურსათის საერთო ენერგეტიკული ღირებულების 30%-ს;

ბ) ამ ტექნიკური რეგლამენტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სურსათში, ლინოლეინის მჟავის რაოდენობა (გლიცერიდების ფორმით) არ უნდა შეადგენდეს 4,5 გ-ზე ნაკლებს;

გ) ამ ტექნიკური რეგლამენტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სურსათში, ლინოლეინის მჟავის რაოდენობა (გლიცერიდების ფორმით) არ უნდა შეადგენდეს 1,0 გ-ზე ნაკლებს.

4. საკვები ბოჭკოების შემცველობა ამ ტექნიკური რეგლამენტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სურსათის დღიურ რაციონში არ უნდა იყოს 10 გ-ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 30 გ-ს.

5. ვიტამინებისა და მინერალების რაოდენობა:

ა) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სურსათის დღიურ რაციონში უნდა შეადგენდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის - „ვიტამინებისა და მინერალების დღიური მოხმარების რეკომენდებული ნორმა“ - ცხრილი N1-ით განსაზღვრული ვიტამინებისა და მინერალების არანაკლებ 100%-ს;

ბ) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სურსათის დღიური რაციონის ერთი კვების შემცვლელში უნდა შეადგენდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის ცხრილი N1-ით განსაზღვრული ვიტამინებისა და მინერალების არანაკლებ 30 %-ს და არანაკლებ 500 მგ კალიუმს.

## ვიტამინებისა და მინერალების დღიური მოხმარების რეკომენდებული ნორმა

დასახელება	ერთეული	დღიური მოხმარების რეკომენდებული ნორმა
ვიტამინი A	მკგ	800
ვიტამინი D	მკგ	5
ვიტამინი E	მგ	12
ვიტამინი K	მკგ	75
ვიტამინი C	მგ	80
თიამინი	მგ	1,1
რიბოფლავინი	მგ	1,4
ნიაცინი	მგ	16
ვიტამინი B <sub>6</sub>	მგ	1,4
ფოლიუმის მჟავა	მკგ	200
ვიტამინი B <sub>12</sub>	მკგ	2,5
ბიოტინი	მკგ	50
პანტოტენის მჟავა	მგ	6
კალიუმი	მგ	2 000
ქლორიდი	მგ	800
კალციუმი	მგ	800
ფოსფორი	მგ	700
მაგნიუმი	მგ	375
რკინა	მგ	14
თუთია	მგ	10
სპილენძი	მგ	1
მანგანუმი	მგ	2

ფტორიდი	მგ	3,5
სელენი	მკგ	55
ქრომი	მკგ	40
მოლიბდენი	მკგ	50
იოდი	მკგ	150

დანართი N2

მოთხოვნები ამინომჟავების მიმართ <sup>(1)</sup>

შეუცვლელი ამინომჟავა	გ/100 გ ცილა
მეთიონინი + ცისტინი	1,7
ჰისტიდინი	1,6
იზოლეიცინი	1,3
ლეიცინი	1,9
ლიზინი	1,6
თიროზინი + ფენილალანინი	1,9
თრეონინი	0,9
ტრიფტოფანი	0,5
ვალინი	1,3

(<sup>1</sup>) ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია. ენერჯისა და ცილების მოთხოვნები ენერჯისა და ცილებზე; FAO/WHO/UNU ერთობლივი შეხვედრის ანგარიში. ქენევა: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, 1985 წ. (ჯმ. ტექნიკური ანგარიშების სერია, 724) [World Health Organisation. Energy and protein requirements. Report of a Joint FAO/WHO/UNU Meeting. Geneva: World Health Organisation, 1985. (WHO Technical Report Series, 724)].

## განმარტებითი ბარათი

### „ტექნიკური რეგლამენტი - შეზღუდული ენერგეტიკული ღირებულების დიეტებში წონის კლებისათვის განკუთვნილი სურსათის შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე

#### ინფორმაცია პროექტის შესახებ

წარმოდგენილი პროექტი შემუშავებულია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის, 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის, COMMISSION DIRECTIVE 96/8/EC of 26 February 1996 on foods intended for use in energy-restricted diets for weight reduction“ 2007 წლის კონსოლიდირებული ვერსიისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნათა შესაბამისად.

პროექტის მომზადება განპირობებულია „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების (შემდგომში – ასოცირების შეთანხმება) და მისი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმების (DCFTA) გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტურად შესრულების უზრუნველსაყოფად. კერძოდ, ზემოაღნიშნული ასოცირების შეთანხმების თანახმად, საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროების (SPS) მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ მიზნით საქართველოს მიერ DCFTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ მომზადდა იმ რეგულაციების და დირექტივების ჩამონათვალი, რომლებთანაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება. ასოცირების შეთანხმების XI-B დანართი, რომელიც შესწორებულია საქართველო-ევროკავშირის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის 2023 წლის 6 მარტის №1/2023 გადაწყვეტილებით, შეიცავს ევროკავშირის იმ საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალს, რომლებთანაც უნდა მოხდეს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება (SPS საკანონმდებლო ნუსხა) დაახლოების ვადების მითითებით. მათ შორის არის COMMISSION DIRECTIVE 96/8/EC of 26 February 1996 on foods intended for use in energy-restricted diets for weight reduction.

პროექტი ადგენს: ადგენს შეზღუდული ენერგეტიკული ღირებულების დიეტებში წონის კლებისათვის განკუთვნილი სურსათის შემადგენლობასა და ეტიკეტირებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. სურსათის ეს კატეგორია წარმოადგენს სპეციალური შემადგენლობის მქონე სურსათს, რომელიც, მწარმოებელი ბიზნესოპერატორის ინსტრუქციის შესაბამისად გამოყენებისას/მოხმარებისას, სრულად ან ნაწილობრივ

ჩანაცვლებს კვების ყოველდღიურ რაციონს და ამ მიზნით მომხარებისათვის მზა სურსათისთვის სპეციფიკაციებს, რომელიც ეხება ადამიანის ორგანიზმის ენერგეტიკული ღირებულებით უზრუნველყოფას, მოთხოვნებს ცილასთან, ცხიმებთან, ბოჭკოვან ნივთიერებებთან, ვიტამინებთან და მინერალებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც სურსათის შემადგენლობაში არსებული ცილა უნდა უზრუნველყოფდეს საერთო ენერგეტიკული ღირებულების არანაკლებ 25% და არაუმეტეს 50 %-ს. ცხიმის ენერგეტიკული ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს სურსათის საერთო ენერგეტიკული ღირებულების 30%-ს, საკვები ბოჭკოების შემცველობა სურსათის დღიურ რაციონში არ უნდა იყოს 10 გ-ზე ნაკლები და არუნდა აღემატებოდეს 30 გ-ს.

პროექტს თან ერთვის დანართები, რომლებიც ადგენს შეზღუდული ენერგეტიკული ღირებულების დიეტებში წონის კლებისათვის განკუთვნილი სურსათის ძირითადი შემადგენლობას და მოთხოვნებს ამინომჟავების მიმართ, რომელიც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ არის დადგენილი და განსაზღვრავს 100 გ ცილაში შეუცვლელი ამინომჟავების რაოდენობას გ-ში.

#### **ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ**

პროექტი მომზადებულია, COMMISSION DIRECTIVE 96/8/EC of 26 February 1996 on foods intended for use in energy-restricted diets for weight reduction“ 2007 წლის კონსოლიდირებული ვერსიის შესაბამისად.

#### **გენდერული თანასწორობის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება**

პროექტი არ ახდენს გენდერული თანასწორობაზე გავლენას.

#### **ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება**

პროექტი ზეგავლენას არ იქონიებს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

#### **პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება**

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე, არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

#### **პროექტის მოსალოდნელი შედეგები**

პროექტის მიღება ხელს შეუწყობს მომხმარებლის ინტერესების და ჯანმრთელობის დაცვას და შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას.

#### **პროექტის განხორციელების ვადები**

პროექტი ამოქმედდება 2024 წლის პირველი ივნისიდან.

ამასთან, ზემოაღნიშნული XI-B დანართის მიზნებისთვის, მითითებული ვადები უკავშირდება კანონმდებლობის დამტკიცებას (დაახლოვება), ხოლო მისი ამოქმედების (იმპლემენტაციის) საკითხი დამოკიდებულია ქვეყნის და კერძო სექტორის მზად ყოფნაზე. თავად შეთანხმების XI-A დანართი ახდენს აღნიშნული ტერმინების (დაახლოვება/იმპლემენტაცია) გამიჯვნას ერთმანეთისგან. კერძოდ, აღნიშნული დანართის მიხედვით, ქართულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს დაახლოებული ეროვნული კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაცია. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ დაახლოვება გულისხმობს კანონმდებლობის იმპლემენტაციასაც და ის ვადები, რომლებიც მოცემულია XI-B დანართში უკავშირდება კანონმდებლობის იმპლემენტაციას, გაურკვეველია ამავე შეთანხმების ზემოაღნიშნული ქვეპუნქტის სამართლებრივი დატვირთვა (დაახლოვებული კანონმდებლობის იმპლემენტაცია).

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასოცირების შეთანხმების საფუძველზე შექმნილი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული SPS ქვეკომიტეტის შეხვედრებზე, რომლის ფარგლებშიც საქართველო ახდენს ევროკომისიისთვის ანგარიშის წარდგენას კანონმდებლობის დაახლოებასთან დაკავშირებით, ყოველთვის ვაწვდით ინფორმაციას იმის თაობაზე თუ როდის მოხდება დაახლოვებული კანონმდებლობის ამოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკომისია ადასტურებდა საქართველოს მიერ ვალდებულებების შესრულებას. გარდა ამისა, კანონმდებლობის დაახლოვება SPS სფეროში იყო ერთ-ერთი საფუძველი საბიუჯეტო დახმარებისთვის, დღემდე ამ კომპონენტის შეუსრულებლობის გამო რაიმე შეფერხება არ ყოფილა.

მხედველობაშია ის გარემოებაც, რომ თავად ევროკავშირის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტების დამტკიცების შემდეგ ხდება გარდამავალი პერიოდის დაწესება, რათა კერძო სექტორმა და სახელმწიფო სტრუქტურებმა მოასწრონ მომზადება ახალი მოთხოვნების შესრულებისთვის.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 30 დეკემბრის N2-954 ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელიც მოახდენს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და მისი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ მე-4 თავის - „სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები“-ს XI-B დანართის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებულ გამოწვევების იდენტიფიცირებას და დაგეგმავს მათი სრულყოფილად განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებებს. ამასთან, ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში მივმართეთ თხოვნით, მხარი დაგვიჭიროს ზემოაღნიშნული საკითხის უზრუნველყოფაში.

ყოველივე აღნიშნული საშუალებას მოგვცემს, უკეთ განვსაზღვროთ დაახლოვებული კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებული მითითებული ვადები და საჭიროების შემთხვევაში, მათი მოვამზადოთ გადავადებების შესახებ შესაბამისი წინადადებები.

### **პროექტის ავტორი და წარმდგენი**

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.